სამოქალაქო იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალის/ვაზნის და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა

1. ნებართვის მაძიებელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარუდგენს განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი; განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს; მოთხოვნას; განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას; განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში;
2. განცხადება, ასევე, უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ ნებართვის რომელი სახის მიღებას მოითხოვს ნებართვის მაძიებელი, და თანდართული საბუთების ნუსხას;
3. განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება;
4. განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას;
5. განცხადებას უნდა ერთოდეს: კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისთვის – საჯარო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისთვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
6. განცხადებას ასევე უნდა ერთოდეს სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნებართვის მაძიებელია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება;
7. დოკუმენტაციასთან ერთად, სამინისტროს ასევე უნდა წარედგინოს სანებართვო ქმედების შესაბამისი ხელშეკრულება ან განზრახულობათა ოქმი/ხელშეკრულება ან მისი ასლი;
8. განცხადებას უნდა ახლდეს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი (გარდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემთხვევებისა);
9. სამინისტროს უნდა წარედგინოს შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული იმპორტის ან რეექსპორტის ნებართვა;

10. წარდგენილი უნდა იქნას იმ ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატი, სადაც ხორციელდება იმპორტი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნებართვის მაძიებელი ითხოვს იმპორტის ნებართვას);
11. წარდგენილი უნდა იქნას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის რეკომენდაცია.

ნორმატიული აქტები

- ✓ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“
  https://www.matsne.gov.ge/document/view/26824?publication=120

- ✓ საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“
  https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=93

- ✓ საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“
  https://matsne.gov.ge/document/view/14944?publication=86

- ✓ საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“
  https://matsne.gov.ge/document/view/23230?publication=40

- ✓ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 21 სექტემბრის N162 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის წესისა და დამატებითი პირობების დადგენის შესახებ“
  https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/10426?publication=10